თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №9

თბილისი, 21 ოქტომბერი, 2020

სხდომა დაიწყო 11:05 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე გოჩა ლორთქიფანიძე;
- საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო ცაციაშვილი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე რატი ბრეგაძე;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ქოიავა;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი ბექა ზეგარდელი;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი კონსტანტინე ბასილაშვილი;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ბესიკ ქოჩიაშვილი;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსი ბექა ძამაშვილი;

- კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) მოვალეობის შემსრულებელი სოფიო ტეფნაძე;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე ვლადიმერ ყუშიტაშვილი;

კომისიის სამდივნოს წევრები:

- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- თამარ ლომიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს კოორდინატორი;
- ნათია თევზაძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი;

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი გიორგი კალანდარიშვილი;

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- „ზვიადის გზა“ (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის) – მიხეილ (გელა) სალუაშვილი;
- „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ – გურამ მაჭარაშვილი;
- „ევროატლანტიკური ვექტორი“ – ლაშა ბრეგვაძე;
- „ლელო საქართველოსთვის“ – მერი ჯაფარიძე;
- „სოციალური სამართლიანობისათვის“ – მამუკა ტუსკაძე;
- „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“ – შავლეგ ჭყოიძე;

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი“ (IFES) – დავით ღონღაძე;
- ევროკავშირის წარმომადგენლობა – თეა ფუტკარაძე;

– „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი“ (IRI) – მარიამ გორდელაძე; ფილიპო როსინი;

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

– „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – ლევან ნატროშვილი;

– „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;

– „მრავალეროვანი საქართველო“ – დარეჯან გიორბელიძე;

– „დემოკრატიული განვითარების ახალგაზრდული ცენტრი“ – გოდერძი მაისურაძე;

– „ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრი“ – ირაკლი ჭანტურიძე;

– „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი“ (CDD) – ცოტნე ჯამბურია;

– „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;

– „დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი” (ICDI) – მერი კაპანაძე;

– „სამართლიანობის განვითარების ინსტიტუტი“ – არჩილ სოფრომაძე;

– „დემოკრატიული არჩევანი“ – ქეთევან გვიშიანი;

– „მწვანე დედამიწა“ – ნუგზარ მელაძე;

– „ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილი.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა გოჩა ლორთქიფანიძემ, სხდომა გახსნა 11:05 საათზე და შეამოწმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. სხდომის მიმდინარეობისას მან დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის №560 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

ბატონმა გოჩამ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის ფაქტებთან მიმართებით მედიით გავრცელებული ინფორმაციის განხილვა;
2. პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან ინფორმაციის მოსმენა;
3. სხვადასხვა.

სხდომის დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე გადავიდა მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციისა და მასზე შესაბამისი უწყებების მიერ განხორციელებული რეაგირებების განხილვაზე. პირველ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა სოფელ ხოვლეში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შეხვედრის ჩაშლის მცდელობას სოფლის გამგებლის მიერ, ბატონმა გოჩამ სიტყვა გადასცა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელს, ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს. ბატონმა ნიკოლოზმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო კასპის მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული განმარტება, რომლის თანახმად, სოფელ ხოვლეში 2019 წელს მოეწყო დრენაჟი და 8000-ტონიანი სასმელი წყლის რეზერვუარი. 2020 წელს წყლის დანაკარგების აღმოსაფხვრელად დასრულდა ახალი ღია მაგისტრალის გაყვანა რეზერვუარამდე. ამდენად, სასმელი წყალი მოსახლეობას მიეწოდება გრაფიკით, დღეში 6 საათის განმავლობაში, და ამ სოფელში ამ გრაფიკით და ამ წესით წყალს იღებს ყველა ოჯახი. როგორც მუნიციპალიტეტი განმარტავს, წყლის მიწოდების გრაფიკის დარღვევა გამოიწვია გაზიფიცირების სამუშაოების წარმოებისას სასმელი წყლის მილის დაზიანებამ, ხოლო აღნიშნული პრობლემა ამ ეტაპზე უკვე აღმოფხვრილია.

რაც შეეხება ინფორმაციაში მოყვანილ მეორე შემთხვევას („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატების შეხვედრაზე სოფლის გამგებლის ნასვამ მდგომარეობაში მისვლა), კასპის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის, ბატონი თამაზ ხუციშვილის, განმარტებითი ბარათის თანახმად, 11 ოქტომბერს, დღის მეორე ნახევარში, ხუციშვილი სამუშაო საათებში ფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა სოფელ ხოვლეში სკოლასთან მისასვლელი გზის მიმდინარე შესაკეთებელი სამუშაოების დასათვალიერებლად. იგი მიესალმა გზის სარეაბილიტაციო მონაკვეთში მდებარე მგზავრთა მოსაცდელთან შეკრებილ 15-მდე ადგილობრივს, რომელთაც გამოეყო ნუგზარ ნონიაშვილი და მოსთხოვა ხუციშვილს ტერიტორიის დატოვება იმ მოტივით, რომ იგი (ნონიაშვილი) აწარმოებდა სააგიტაციო საქმიანობას და მისი (ხუციშვილის) იქ ყოფნა უხერხულობას უქმნიდა. ბატონმა თამაზმა განუმარტა ნონიაშვილს, რომ იგი იქ იმყოფებოდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, რა დროსაც შეკრებილთაგან ერთ-ერთმა ქალბატონმა მიმართა გამგებელს სოფელში შექმნილი წყლის პრობლემის შესახებ. გამგებელმა ქალბატონს მიაწოდა ინფორმაცია სასმელი წყლის მილის დაზიანებისა და აღნიშნული პრობლემის დროულად აღმოფხვრისათვის მიმდინარე სამუშაოების თაობაზე და გზა განაგრძო.

მომდევნო საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის განცხადებას ძალოვანი უწყებების წარმომადგენლების წინასაარჩევნო პროცესში ჩართულობის თაობაზე, ბატონმა გოჩამ სიტყვა გადასცა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელს, ბატონ ბექა ზეგარდელს. ბატონმა ბექამ განაცხადა, რომ ზემოაღნიშნული არ შეესაბამება სიმართლეს და მიმართულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დისკრედიტაციისაკენ, მისი ავტორიტეტის შელახვისკენ. ამასთან, როგორც ცნობილია, აღნიშნულ საკითხზე განცხადება გააკეთა მხარის გუბერნატორმაც.

ქალბატონმა ნინო ცაციაშვილმა (შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე) საკითხთან დაკავშირებით შენიშნა, რომ ზემოაღნიშნული განცხადება, ბევრ მსგავს სხვათაგან, ატარებს ზოგად და აბსტრაქტულ ხასიათს, და როდესაც უკვე კონკრეტიკაზე მიდგება საქმე, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობაზე განმცხადებლები, როგორც წესი, უარს ამბობენ ხოლმე. ქალბატონი ნინოს თქმით, როდესაც სამართალდამცავ ორგანოებს არანაირი კონკრეტული ინფორმაცია არ აქვთ, გამოძიების დაწყება ზოგადი განცხადებების საფუძველზე მიზანშეწონილი არ არის, თუმცა, დამატებითი ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტრო მზადყოფნას გამოთქვამს, მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

მედიამონიტორინგის შედეგად გამოვლენილ შემდეგ საკითხთან დაკავშირებით („ევროპული საქართველოს“ განცხადება ამბროლაურში ადმინისტრაციული რესურსის შესაძლო გამოყენების თაობაზე) ნიკოლოზ როსებაშვილმა აღნიშნა, რომ განცხადება მოკლებულია კონკრეტიკას და ატარებს ზოგად ხასიათს. ბატონი ნიკოლოზისთვის ამბროლაურის მუნიციპალიტეტიდან მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, მერიისა და საკრებულოს ყველა თანამშრომელი, ასევე, მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელი და თანამშრომლები გაეცნენ საარჩევნო კოდექსით დადგენილ შეზღუდვებს და სამუშაო საათებში მათი სხვა საქმიანობით დაკავება არ დასტურდება. მუნიციპალიტეტი კატეგორიულად უარყოფს განცხადებაში მითითებულ ინფორმაციას.

კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა გოჩა ლორთქიფანიძემ, დამსწრე პირთა საყურადღებოდ განაცხადა, რომ პარტიებს – „ევროპულ საქართველოსა“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს მხრიდან გაეგზავნათ მოწვევა 21 ოქტომბრის უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე დასასწრებად. ამასთან, კომისიის სამდივნოს ცხელი ხაზის მეშვეობით მათ დამატებით მიეწოდათ ინფორმაცია, რომ მედიამონიტორინგის შედეგად კომისიის

სამდივნოში შემოსულია ამ პარტიებთან დაკავშირებული საკითხები და, შესაბამისად, სხდომაზე განიხილება.

პასუხად ორივე ზემოხსენებული პარტიის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს, დასწრებოდნენ სხდომას. ბატონმა გოჩამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია კომისიის სხდომაზე იმ პარტიების წარმომადგენელთა დასწრება, რომელთა საკითხებიც განიხილება. მისი თქმით, უწყებათაშორისი კომისიის ეფექტურობა სწორედ მაშინ ყალიბდება, როდესაც კომისიის წევრი უწყებები, პოლიტიკური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებიან მას, თუმცა საკითხი ნებისმიერ შემთხვევაში განიხილება.

სოფელ ჭარნალში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" შეხვედრაზე უმაღლესი საბჭოს მანქანის დაფიქსირების საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ბატონმა გურამ მაჭარაშვილმა („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო"). მისი თქმით, მოეპოვებათ ამ შეხვედრაზე დაფიქსირებული უმაღლესი საბჭოს მანქანის საარჩევნო პროცესში გამოყენების ფოტოფაქტი. მან თხოვნით მიმართა სხდომაზე შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებს, გამოიკვლიონ ზემოაღნიშნული განცხადება და ფოტომასალა, რათა ამგვარად საზოგადოებაში გაჩნდეს კანონის წინაშე ყველა პოლიტიკური ორგანიზაციის თანასწორობის განცდა.

ამავე საკითხზე ისაუბრა ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა, რომელმაც დეპუტატ ელგუჯა ბაგრატიონის მიერ აჭარის უმაღლეს საბჭოში გაკეთებულ განმარტებაზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ დეპუტატი არ მართავდა ავტომობილს და იგი, უბრალოდ, მძღოლმა წაიყვანა ავტოსერვისში. სწორედ ამ დროს შეამჩნიეს ეს ავტომობილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" შეკრებაზე. ბატონი ნიკოლოზის თქმით, იმას, თუ რა უნდოდა უმაღლესის საბჭოს ავტომობილს პარტიულ შეკრებაზე, განმარტება ჯერჯერობით არ მოჰყოლია.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ქალბატონმა ნინო ცაციაშვილმა, თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა „ევროპული საქართველოს" საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელ სერგი კაპანაძის ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელ ნინო გედენიძესთან ერთად გამართულ ბრიფინგზე გაკეთებულ განცხადებაზე, სადაც საუბარი იყო ასობით შემთხვევაზე, როდესაც „ქართული ოცნების" წარმომადგენლები ხალხს სამსახურის დაკარგვით ან სოციალური დახმარების მოხსნით ემუქრებიან.

ქალბატონი ნინოს განცხადებით, აღნიშნული შეტყობინება საკითხის შესწავლის მიზნით გადაიგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო

სამმართველოში, რომლის საფუძველზეც 2020 წლის 20 ოქტომბერს ნინო გედენიძე გამოიძახეს პოლიციაში მის მიმართ განხორციელებული შესაძლო ზეწოლის ფაქტთან დაკავშირებით გასაუბრების მიზნით. ნინო გედენიძემ პოლიციის თანამშრომელთან სატელეფონო გასაუბრებისას განაცხადა, რომ თავს გრძნობდა შეუძლოდ და ვერ მოახერხებდა 2020 წლის 20 ოქტომბერს გამოცხადებას. მას შეეთავაზა, გამოცხადებულიყო მისთვის სასურველ დროს, რაზეც განმარტა, რომ მომდევნო დღე გადატვირთული ჰქონდა სამსახურებრივად, ხოლო შემდეგ დღეს არ იცოდა, ეცლებოდა თუ არა. ამასთან, მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ განმცხადებელთან გასაუბრების შედეგები კომისიას ეცნობება დამატებით.

შემდგომ კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებთან ერთად განიხილა საკითხები, რომლებზეც უწყებებს კომპეტენციის შესაბამისად დამატებით უნდა მოეწოდებინათ ინფორმაცია.

„ლელოს“ ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ანა ნაცვლიშვილის განცხადებაზე, სადაც იგი „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის მიერ კანონის უხეშად დარღვევაზე რეაგირებას მოითხოვს, ისაუბრა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა გიორგი კალანდარიშვილმა.

როგორც ბატონმა გიორგიმ განაცხადა, აღნიშნულ საკითხზე საკუთარი ინიციატივით №59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, რომელზეც გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული. ამასთან, აღნიშნა, რომ ინფორმაცია დამატებით ეცნობება კომისიას.

ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილის (ა(ა)იპ „ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის“) მიერ კომისიისთვის ელექტრონულად მოწოდებულ განცხადებაზე (20 სექტემბერს, 13:00 სთ-ზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ საიმერლოში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ზაურ დარგალის მოსახლეობასთან შეხვედრაზე დაფიქსირებული შპს „მარნეულის სოფწყლის“ ბალანზე რიცხული ავტომობილის შესახებ), ქალბატონი ტატიანას (ნატალია) მოთხოვნის შესაბამისად, დამატებითი ინფორმაციის სახით განმარტა, რომ განცხადებაში მითითებული ავტომობილი 09:30-18:00 სთ პერიოდში იყო გაჩერებული ზემოხსენებულ ადგილზე.

ბატონმა გიორგი კალანდარიშვილმა სხდომის მონაწილეთ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდა „ევროპული საქართველოს“ წევრ ბესო დონაძის ზუგდიდის №67 საოლქო საარჩევნო კომისიაში საჩივრის შეტანასთან დაკავშირებით. მისი თქმით, №67 ზუგდიდის ოლქის თავმჯდომარემ

საჩივრის საფუძველზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება. საჩივრის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ვიდეორგოლების ჩაწერა განხორციელდა მიმდინარე წლის აგვისტოში არასამუშაო დროს არასაარჩევნო პერიოდში. ამ დროს კი საჩივარში მითითებული პირები არ ასრულებდნენ სამსახურებრივ ფუნქციებს. შესაბამისად, სკოლის პედაგოგების და საბავშვო ბაღის თანამშრომლების მხრიდან არ დადასტურდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი.

ბატონმა გიორგიმ ხელვაჩაურის მერ ჯუმბერ ვარდმანიძის სამსახურებრივი ავტომანქანით წინასაარჩევნო შეხვედრებზე სოფელ ჩხუტუნეთში დაფიქსირების ფაქტზე დამატებითი ინფორმაციის სახით აღნიშნა, რომ №83 ხელვაჩაურის ოლქის თავმჯდომარემ საჩივრის საფუძველზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის წერილის თანახმად, მას სამსახურებრივი ავტომანქანა არ გამოუყენებია წინასაარჩევნო შეხვედრაზე დასასწრებად. ამასთან, გამომცემლობა „ბათუმელების" მიერ მოპოვებული მასალითაც არ დასტურდება სამსახურებრივი ავტომობილის გამოყენების ფაქტი ზემოხსენებული ავტოსატრანსპორტო საშუალებით მუნიციპალიტეტის მერის გადაადგილება კონკრეტულად წინასაარჩევნო შეხვედრის დროს. შესაბამისად, არ დადასტურდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება. საჩივრის ავტორს წერილობით უარი ეთქვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე.

ზემოაღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა ბატონ გიორგის, რომ განახლებული ინფორმაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მოეწოდოს უწყებათაშორის კომისიას.

თითოეულ საკითხზე უწყების პოზიციის მოსმენის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს შესაძლებლობას აძლევდა, დაესვათ კითხვები ან წარმოედგინათ დამატებითი ინფორმაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მომდევნო საკითხის (მოწოდებული ინფორმაცია პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან) შესახებ კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ქალბატონ მერი ჯაფარიძეს („ლელო საქართველოსთვის"). როგორც სიტყვით გამომსვლელმა აღნიშნა, „ლელო საქართველოსთვის" საარჩევნო კოდექსით მინიჭებული წინასაარჩევნო აგიტაციის/კამპანიის წარმოების უფლების საფუძველზე ახორციელებს დედაქალაქის სხვადასხვა საჯარო ადგილას სააგიტაციო მასალების

გავრცელებას და გაცნობას გამვლელებისთვის. კერძოდ, ახალგაზრდული ოფისის წევრები გადაადგილდებიან ავტობუსით და, ძირითადად, მეტროსადგურებთან ჩერდებიან, მცირე ხნით დგამენ მაგიდას სააგიტაციო მასალის დასაწყობად, „ლელოს“ კამპანიის ფერის (ყვითელ) საჩრდილობელს და ავრცელებენ „ლელოს“ ბუკლეტებს და სხვა მასალას. ერთ-ერთი ასეთი გაჩერების დროს, 2 ოქტომბერს, მეტრო „დელისთან“ „ლელოს“ ახალგაზრდული ოფისის წევრებთან მივიდნენ ქ. თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ინსპექციის წარმომადგენლები, განუცხადეს, რომ ჰქონდათ გამოწერილი ჯარიმა კონსტრუქციის განთავსების გამო და მოსთხოვეს მისი დაშლა. ამასთან, პარტიის ცენტრალურ ოფისში ფოსტის მეშვეობით ჩაბარდათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლითაც „ლელო საქართველოსთვის“ დაჯარიმებული იყო 1000 ლარით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსის“ 150[3]-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე. ქალბატონი მერის განმარტებით, ეს ჯარიმა გასაჩივრდა ქალაქ თბილისის მერიაში და ელოდებიან საკითხის განხილვას. მისივე თქმით, ანალოგიური ფაქტი მოხდა 9 ოქტომბერსაც მეტრო „წერეთლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც მუნიციპალურმა ინსპექციამ კვლავ გამოწერა 1000-ლარიანი ჯარიმა უნებართვო კონსტრუქციის განთავსებისთვის. ამ ჯარიმის გასაჩივრებაც იგეგმება კანონით დადგენილ ვადაში.

ქალბატონი მერი ჯაფარიძე მიიჩნევს, რომ ამ ორივე შემთხვევაში მუნიციპალური ინსპექციის მიერ ჯარიმის დაკისრება წარმოადგენს საარჩევნო სუბიექტის აგიტაციის უფლების გაუმართლებელ და უკანონო შეზღუდვას, რადგან არცერთ ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია ქალაქის იერსახის ცვლილებას, რასაც კრძალავს მუნიციპალური ინსპექციის მიერ მითითებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის შესაბამისი მუხლი და ამ მუხლის გამოყენების ასეთი პრაქტიკა ეწინააღმდეგება როგორც საარჩევნო კოდექსს (რომელსაც, როგორც ორგანულ კანონს, უპირატესი იურიდიული ძალა აქვს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსთან მიმართებით), ისე კონსტიტუციით გარანტირებულ აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას და თავად საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკასაც.

„ლელოს“ წარმომადგენელმა მოუწოდა კომისიას, რეკომენდაციით მიმართოს მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოებს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და მისი შესაბამისი ნორმების გამოყენებისას, მითუმეტეს, ისეთი მნიშვნელოვანი ჯარიმის შეფარდებისას, როგორსაც ითვალისწინებს ასკ 150[3]-ე მუხლი, იხელმძღვანელონ

კონსტიტუციით და ორგანული კანონით უფრო უპირატესად დაცული აზრისა და გამოხატვის და საარჩევნო სუბიექტის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციის/კამპანიის წარმოების უფლებებით.

ბატონმა ვლადიმერ ყუშიტაშვილმა (თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე) ქალბატონი მერის მიერ დასახელებულ ფაქტებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „ლელო" ნამდვილად დაჯარიმდა, თუმცა, ჯარიმის გამოწერამდე სამ ლოკაციაზე პარტიის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები გააფრთხილეს და განუმარტეს, რომ, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კონსტრუქციის გამოყენება სააგიტაციოდ ყოვლად დაუშვებელია. როგორც ბატონმა ვლადიმერმა აღნიშნა, ქ. თბილისის მერიაში „ლელოს" მიერ შემოტანილი საჩივარი განიხილება, თუმცა, აქვე დასძინა, რომ გაფრთხილების გაუთვალისწინებლობის გამო გამოიწერა შესაბამისი ჯარიმა.

ბატონი მამუკა ტუსკაძე („სოციალური სამართლიანობისათვის") თავის გამოსვლაში შეეხო მის მიერ უწყებათაშორისი კომისიის 7 ოქტომბრის სხდომაზე გახმიანებულ საკითხს. მისი თქმით, ქ. რუსთავის საქალაქო სამმართველოს მე-3 განყოფილებაში გამოძახების საფუძველზე მთელი დღე იმყოფებოდა პოლიციაში, რის გამოც მას ხელი შეეშალა კონკრეტულად იმ დღეს ამომრჩეველთან შეხვედრაში/საარჩევნო საქმიანობის განხორციელებაში.

ქალბატონმა ნინო ცაციაშვილმა ბატონი მამუკას საპასუხოდ განაცხადა, რომ, თუ მას ამომრჩეველთან შეხვედრა ჰქონდა დანიშნული, შეეძლო, პოლიციის განყოფილებაში სხვა დღეს გამოცხადებულიყო უპრობლემოდ. ამასთან, მისი თქმით, ბატონი მამუკას მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროში შეტანილი განცხადების საფუძველზე, ქ. რუსთავის საქალაქო სამმართველოს მე-3 განყოფილების ხელმძღვანელ ბესო ზედელაშვილის მიმართ მიმდინარეობს მოკვლევა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში.

ბატონმა ლევან ნატროშვილმა („საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო") განაცხადა, რომ მათი ორგანიზაცია მომდევნო კვირას აპირებს ანგარიშის გამოქვეყნებას არჩევნების საკითხებთან დაკავშირებით. მისი თქმით, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით, რომელშიც ითხოვენ არჩევნებთან დაკავშირებულ საქმეებზე პასუხს, რაც შემდგომ აისახება ანგარიშში. მან, ასევე, კომისიის თავმჯდომარეს მიმართა კითხვით – აპირებს თუ არა უწყებათაშირისი კომისია შუალედური ანგარიშის გამოქვეყნებას, რაზეც ბატონმა გოჩამ განაცხადა, რომ კომისიამ უკვე

გამოაქვეყნა შუალედური ანგარიში კომისიის შექმნიდან 22 სექტემბრამდე მდგომარეობით, რომელიც განთავსებულია იუსტიციის სამინისტროს ვებგერდზე.

ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილმა განაცხადა, რომ უწყებათაშორის კომისიაზე განიხილება მხოლოდ საჯარო მოსამსახურეების მხრიდან კანონდარღვევის საკითხები. მისი თქმით, სასურველია, კომისიის მხრიდან მათაც ეგზავნებოდეთ საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაცია, კერძოდ, სისხლის სამართლის საქმეებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს რეაგირებების თაობაზე.

ბატონმა ბექა ძამაშვილმა (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსი) ქალბატონი ტატიანას (ნატალია) საპასუხოდ განაცხადა, რომ უწყებათაშორისი კომისია განიხილავს მხოლოდ მისი მანდატით გათვალისწინებულ საკითხებს, რაც დეტალურად არის ასახული კომისიის შუალედურ ანგარიშში. რაც შეეხება არჩევნებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის სხვა საქმეებს, რომლებიც არ შედის კომისიის უფლებამოსილებაში, სასურველია, მათთვის საინტერესო საკითხებზე უშუალოდ მიმართონ შინაგან საქმეთა სამინისტროს.

ქალბატონმა ნინო ცაციაშვილმა ბატონ ლევან ნატროშვილს მიმართა, კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ მიეწოდებინა კიდევ ერთხელ წერილი კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებთნ დაკავშირებით, რომელთა ასახვაც სურდათ ანგარიშში და შეეცდებოდა, მაქსიმალურად მოკლე ვადაში დაებრუნებინა პასუხი. ამასთან, ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილის საყურადღებოდ აღნიშნა, რომ მათაც შეუძლიათ მიმართონ განცხადებით შინაგან საქმეთა სამინისტროს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით.

ბატონმა ლაშა აბაშიძემ („საქართველოს ევროატლანტიკური ვექტორი") განაცხადა, რომ მის პოლიტიკურ პარტიას წინასაარჩევნო კამპანიის განხორციელებაში ხელს უწყობს/ფინანსურ დახმარებას უწევს ეროვნებით ირანელი საქართველოს მოქალაქე, ბიზნესმენი ჯამშიდ სორქჰუჰი. ხსენებული პირი არის შპს „ბროლის" მეპატრონე. მიმდინარე წლის 13 ოქტომბერს ზემოაღნიშნულ შპს-სა და მისი ფლობელის საცხოვრებელ სახლში საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად შევიდნენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები და ამოიღეს კომპანიის კუთვნილი კომპიუტერული ტექნიკა და საჭირო დოკუმენტაცია, რის გამოც კომპანიამ შეაჩერა საქმიანობა. ბატონი ლაშას თქმით, როგორც მისთვის ცნობილია, გენერალურ პროკურატურაში დაწყებულია გამოძიება აღნიშნული პირის მიმართ ფულის გათეთრების მუხლით. მან გენერალური

პროკურორის მოადგილეს, ბატონ გიორგი გაბიტაშვილს, მიმართა თხოვნით, რომ ზემოხსენებული კომპანიის კუთვნილი ტექნიკა და დოკუმენტაცია დროულად დაუბრუნდეს ჯამშიდ სორქჰუჰს, რათა კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირება.

კომისიის თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის ფარგლებში არ შედის ბატონი ლაშას მიერ სხდომაზე დაყენებული საკითხი. ვინაიდან კომისიის მხრიდან სხდომაზე მოწვეულია მათი პარტია და გენერალური პროკურატურის წარმომადგენელი არის კომისიის წევრი, მან სიტყვა გადასცა გენერალური პროკურორის მოადგილეს, ბატონ გიორგი გაბიტაშვილს. ბატონმა გიორგი გაბიტაშვილმა ბატონი ლაშას საპასუხოდ განაცხადა, რომ მართლაც დაწყებულია გამოძიება ჯამშიდ სორქჰუჰის მიმართ სსკ 194-ე მუხლით (უკანონი შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება)) და გამოძიების ფარგლებში საჭირო საგამოძიებო მოქმედებების დასრულებისთანავე მათ დაუბრუნდებათ გამოძიებისთვის არასაჭირო ყველა ნივთი.

სხდომის დასასრულ, კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს მობრძანებისთვის.

კომისიის სხდომის მომდევნო თარიღად გამოცხადდა 2020 წლის 28 ოქტომბერი, 11:00 საათი.

სხდომა დასრულდა 12:20 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე: გ. ლომაია

კომისიის მდივანი: